აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 10

1 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისს ჩასატარებელი არჩევნებისათვის სარჩევნო სუბიექტთა რიგითობის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის და საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის 28 მარტს ჩატარებული ხელახალი არჩევნებისათვის კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ უფლება, განცხადებით მიმართონ უსკოს არა უგვიანეს 2004 წლის 12 ივნისისა და მოითხოვონ არჩევნებში მონაწილეობა იგივე რიგითი ნომრით, რომელიც მათ მინიჭებული ჰქონდათ 2003 წლის 2 ნოემბრის 2004 წლის 28 მარტს ჩატარებული არჩევნებისათვის.

მუხლი 2. თუ 2003 წლის 2 ნოემბრის და 2004 წლის 28 მარტის არჩევნებისათვის რიგითი ნომერი მინიჭებული ჰქონდა საარჩევნო ბლოკს, ამ ნომრის გამოყენების უფლება ენიჭება ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველ პარტიას, ხოლო თუ ეს უკანასკნელი წერილობით უარს განაცხადებს, აღნიშნული ნომრის გამოყენების უფლება გადადის ბლოკის წევრთა ჩამონათვალში შემდეგ სუბიექტებზე და ა.შ

მუხლი 3. იმ საარჩევნო სუბიექტების რიგითობა, რომლებსაც 2003 წლის 2 ნოემბრის 2004 წლის 28 მარტის არჩევნებისათვის არ ჰქონიათ მინიჭებული შესაბამისად რიგითი ნომერი, განისაზღვრება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე